ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3553622

ნომერი: AR1536795

თარიღი : 01.09.2017

გაცემის თარიღი : 20.09.2017

გაცნობის თარიღი : 20.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 15 , (ნაკვეთი N16/61) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ქურსუა პ/ნ 62001040016
- ქ. თბილისი ქავთარაძის ქუჩა 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
-წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო კონდიციონერი უნდა განთავსდეს არსებული შენობა ნაგებობის წინ, წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა კი არ შეესაბამება ზემოარნიშნულ ადგილმდებარეობას. შესწორდეს საკადასტრო გეგმა.
-წარმოადგინეთ სხვადასხვა ხედით გადაღებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და დაიტანეთ საკადასტრო საზღვრები.
-ფოტომონტაჟზე წარმოსახვითი ხაზით შემოხაზეთ თქვენს საკუთრება/სარგებლობაში არსებული საპროექტო ფასადი. იმ შემთხვევაში თუ კონდიციონერი ეწყობა (ნაწილობრივ) მომიჯნავე ფართის ფასადზე ამ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება აღნიშნული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ფართის მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.
გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.